პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 189 (3166)

28 სექტემბერი, ოთხშაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი



# „მან საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა"

**ბონი, 26 სექტემბერი.** „ნატალია ტანვარჯიშის დედოფალია", — ასეთი სათაური აქვს გაზეთ „ნოიე რაინ-ცაიტუნგის" დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილს დორტმუნდში დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ. ყველა გაზეთი ბეჭდავს სხვადასხვა იარაღზე მოვარჯიშე ნ. კუჩინსკაიას ფოტოსურათებს. გაზეთი „გენერალ-ანცაიგერი" აქვეყნებს ფოტოგრაფიას, რომელზეც გამოსახულია მომენტი, როცა გფრ-ის პრეზიდენტი ლიუბკე საპატიო ჯილდოს გადასცემს ნატაშას.

გაზეთი „დი ველტი" აღნიშნავს: „სახეგაბადრულმა ნატაშამ ოქროს 3 მედალი მოიპოვა. მაყურებლებში ტანმოვარჯიშეთა ოსტატობით გამოწვეული გაოცება აღტაცებაში გადაიზარდა, როცა დაიწყო ქალთა ფინალური გამოსვლები". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს იყო კუჩინსკაიას ნამდვილი ტრიუმფი. „დი ველტს" მიაჩნია, რომ საბჭოთა ქალთა და ვაჟთა გუნდები, რომლებშიც უმეტესობას ახალგაზრდები წარმოადგენენ, მეხიკოში, უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

გაზეთი „გენერალ-ანცაიგერი" კუჩინსკაიას, რომელმაც ოქროს 3, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 1 მედალი მოიპოვა, მიიჩნევს „დორტმუნდის მსოფლიო პირველობის ყველაზე ძლიერ სპორტსმენ ქალად". „მაყურებელთა სათაყვანო კერპი გახდა ნატაშა, რომლისგანაც სამჯერ იწვნია დამარცხება ვერა ჩასლავსკამ", — აღნიშნავს გაზეთი. „ჩემპიონატის აპოგეად შეიძლება ჩაითვალოს სპორტსმენი ქალების გამოსვლა ხალიჩაზე. ვერც ერთი რეჟისორი ვერ შეძლებდა უფრო დაძაბული ფინალის შექმნას. სამ ტანმოვარჯიშეს — ნ. კუჩინსკაიას, ვ. ჩასლავსკაიას და ზ. დრუჟინინას — ერთნაირად კარგი შანსი ჰქონდათ გამარჯვებისა... ეს იყო თანაბარძალთა ბრძოლა, რომელშიც გაიმარჯვა ნ. კუჩინსკაიამ", — წერს ავტორი.

გაზეთი „რაინიშე პოსტი" კუჩინსკაიას უწოდებს ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატის უკანასკნელი დღის სენსაციას" და დასძენს: „კულმინაცია იყო კუჩინსკაიას ვარჯიში ორძელზე, როცა სამმა მსაჯმა მას ფანტასტიკური შეფასება — 10 ქულა მისცა".

გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" გულთბილად ლაპარაკობს კუჩინსკაიას ოსტატობაზე და წერს: „იგი დორტმუნდის დიდი აღმოჩენა იყო და მასში მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს ხედავენ. ნატალიამ უმალ მოიპოვა ყველას სიმპათია. მან გამოამჟღავნა ზღაპრული წარმატებები ყველა იარაღზე..."

„ვაჟთა შეჯიბრების გადამწყვეტი პუნქტი იყო იაპონელ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა ძელზე: ის, რაც სამმა იაპონელმა მედალოსანმა — ნაკაიამამ, ენდომ და მაცუკურამ აჩვენეს, დიდხანს განუმეორებელი იქნება, თუ იაპონელები თავიანთ თავს არ აჯობებენ" („გენერალ-ანცაიგერი").

გაზეთები გამოყოფენ იაპონიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალთა ბრწყინვალე გამოსვლას. ისინი აღნიშნავენ გდრ-ის სპორტსმენთა დიდ წარმატებას და მათი მოწინავე ტანმოვარჯიშეების ე. ცუხოლდისა (ბარტის) და მ. ბრემეს მაღალ ოსტატობას.

## უკანასკნელი საათი...

◆ **ზაპოროჟიე, 27 სექტემბერი.** კაუნასის „ჟალგირისის" ხელბურთელი ქალები სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ. II ადგილი მოიპოვეს მოსკოვის „ლუჩის" ხელბურთელებმა, რომლებიც ოთხ წელს ზედიზედ იყვნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა სვერდლოვსკის „ტრუდს".

◆ **სოფია, 27 სექტემბერი.** დასასრულს უახლოვდებაველორბოლა ბულგარეთში. ბოლოსწინა, XI ეტაპზე გაბროვო — სევლიევო (184 კმ) გაიმარჯვა რ. მარქსმა (გდრ) — 5 საათი და 5 წუთი. ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა ა. კულიბინმა (გორკი). პირად ჩათვლაში ლიდერობს ბულგარელი ი. ბობეკოვი — 39:45.06. ნ. ფადეევსა (ლიპეცკი) და ვ. სოკოლოვს (ომსკი) ჯერჯერობით IX და X ადგილები უკავიათ. გუნდურ ჩათვლაში წინ არის ბულგარეთის ნაკრები. რსფსრ-ს გუნდი, რომელსაც II ადგილი უკავია, ტრასის მასპინძლებს 22 წუთით ჩამორჩება.

◆ **მეხიკო, 27 სექტემბერი.** გადაწყვეტილია ასპარეზობა აფროსნობაში შეიტანონ „სპორტის საერთაშორისო კვირეულის" პროგრამაში. ეს „კვირეული" გაიმართება 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიადის დედაქალაქში ოქტომბერში და მომავალი ოლიმპიური ასპარეზობის თავისებური რეპეტიცია იქნება. ამრიგად, საბოლოოდ „კვირეულში" შეტანილია სპორტის შემდეგი სახეობები: აფროსნობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, ცურვა, ფარიკაობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, აგრეთვე, ბაიდარითა და კანოეთი ასპარეზობა, ფრენბურთი, ჰიდაობა, კრივი, მძლეოსნობა. აფროსნები იასპარეზებენ წყნარი ოკეანის აკაპულკოს კურორტის მიდამოებში 6 კლასის ნავებით, მათ შორის, ხუთივე ოლიმპიური ნავით.

## V ადგილზე

ჩერკასი, 26 სექტემბერი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადის ბოლო დღეებმა საქართველოს წარმომადგენლებს ვერაფერი სასიხარულო მოუტანეს.

სუსტად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნები, რომლებმაც X ადგილი დაიკავეს (18866 ქულა). მძლეოსნობაში გაიმარჯვა უკრაინელთა კოლექტივმა — 27363 ქულა. II ადგილზე არიან რსფსრ-ს წარმომადგენლები, ხოლო III — ესტონელები.

ფრენბურთელმა ვაჟებმა ბოლო 2 მატჩი მოიგეს: ყაზახეთის „კაირატთან" — 3:1 და ბელორუსიის „უროჟაისთან" — 3:2, ქალებმა კი 1 შეხვედრა მოიგეს (ლიტვის „ნემუნასთან" — 3:0) და 1 წააგეს (ესტონეთის „იიუდთან" — 1:3). ვაჟებმა V ადგილი დაიკავეს, ქალებმა — VI.

გუშინ საღამოს მოეწყო სპარტაკიადის საზეიმო დახურვა. სპორტის 9 სახეობის საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრა უკრაინამ — 124 ქულა. II ადგილზეა რსფსრ — 123, III — ესტონეთი — 106, IV — ლატვია — 97, V — საქართველო — 94, VI — უზბეკეთი — 71.

**ჯ. ენუქიძე.**

## „ბელგრადი" — „სპარტაკი" (მოსკოვი)

**მოსკოვი, 27 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩში მონაწილეობისთვის გუშინ ბელგრადს გაფრინდა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი. იგი მეორე საბჭოთა კოლექტივია (კიევის „დინამოს" შემდეგ), რომელიც ჩვენი ფეხბურთის ღირსებას დაიცავს ამ უაღრესად საპასუხისმგებლო და საინტერესო ტურნირში.

თვითმფრინავმა იუგოსლავიაში წაიყვანა: მასლაჩენკო, ბელოვი, ლოგვინენკო, დიკარევი, მეშჩერიაკოვი, კორნეევი, კრუტიკოვი, პეტროვი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, ჰუსაინოვი, ბოკატოვი, ოსიანინი, სიომინი, რეინგოლდი.

28 სექტემბერს სპარტაკელები იუგოსლავიის დედაქალაქში ეთამაშებიან „ოფკ ბელგრადს", რომელიც, სხვათა შორის, ჯერჯერობით წარმატებებით ვერ დაიკვეხნის თავისი ქვეყნის ჩემპიონატში.

* * *

„ბელგრადისა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება 19 საათსა და 55 წუთზე თბილისის დროით.



სურათზე აღბეჭდილია ტიპიური მომენტი განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" შორის. თბილისელები მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ მოწინააღმდეგეს, სახიფათო მომენტები განუწყვეტლივ იქმნებოდა სტუმართა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მათი კარი მხოლოდ ერთხელ იქნა აღებული.

აი, ახლაც. „კრილია სოვეტოვის" მეკარე გ. აგურეევი შორსაა გამოსული და დინამოელთა მარცხენა გარემარბი მ. მესხი ურტყამს კარში. სტუმრები ამჯერადაც გადარჩნენ გოლს.

ფოტო გ. გაბუნიასი.

# ორი იუბილეს მიუძღვნეს

400-მდე სპორტსმენი დადგა საქართველოს სოფლის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმო-დაწესებულებების I რესპუბლიკური სპარტაკიადის სტარტზე. ღონისძიება საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების 50 წლისთავსა და შოთა რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა.

ოთხი დღის განმავლობაში ეცილებოდნენ სოფლის მშენებელი სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ფრენბურთსა და ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში.

„განთიადის" სპორტულ მოედნებზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ფრენბურთელთა შორის. ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს: ვაჟებში — გაგრელმა სპორტსმენებმა (მათ გადამწყვეტ შეხვედრაში სძლიეს თეთრი წყაროს გუნდს — 2:1), ქალებში კი — სამტრედიის ფრენბურთელებმა.

საინტერესო გამოდგა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაც. გაიმარჯვეს სამტრედიელმა სპორტსმენებმა.

მოჭადრაკეთა და მოშაშეთა ტურნირებში ტოლი არ ჰყავდათ ცხაკაიელებს.

სპარტაკიადის ბოლო დღეს მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა ასპარეზობის შედეგები. კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა სამტრედიის № 4 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (გუნდის ხელმძღვანელი რ. ბექაია).

II ადგილზე გავიდა თეთრიწყაროს გუნდი, ხოლო III და IV ადგილებზე, შესაბამისად, ცხაკაიისა და გაგრის კოლექტივები.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს სოფლის მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ბ. გეჯაძემ, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ და ფიზკულტურის გაერთიანებული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჯაფარიძემ.

განვლილმა სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ სპორტი სოფლის მშენებელთა შორის აღმავლობის გზაზე დგას. თუ მომდევნო წლებში კვლავ შევძლებთ ასეთი დიდი კომპლექსური ღონისძიების ჩატარებას, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ახალგაზრდა სპორტული კოლექტივი ჩვენი რესპუბლიკის მოწინავეთა რიგებში ჩადგება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა კოლექტივმა (წალკა, ახალციხე, გალი და სხვ.) სპარტაკიადაში სრულად დაკომპლექტებული გუნდი ვერ გამოიყვანა.

**ნ. სომხიშვილი,**
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# დიდი ინტერესით

დიდი ქართველი პოეტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება ადრევე დაგეგმა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტმა (თავმჯდომარე ო. სვანიძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ (გამგე ვ. აფრიდონიძე). და აი, კვირა დილით 200-ზე მეტმა პირველკურსელმა მოიყარა თავი ინსტიტუტის ეზოში. აქედან უნდა აელო სტარტი მასობრივ ტურისტულ ლაშქრობას მარშრუტით: ქუთაისი — მოწამეთა — გელათი.

ლაშქრობის მონაწილენი, ფაკულტეტების მიხედვით, ათეულებად და ოცეულებად დაიყვნენ. კოლონა დაიძრა. ერთ საათში მოლაშქრეები მოწამეთაში იყვნენ. ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა დ. გურეშიძემ სტუდენტებს ძეგლის ისტორია გააცნო, უამბო მურვან-ყრუს ურდოების წინააღმდეგ მებრძოლი ძმების, არგვეთის მთავრების დავით და კონსტანტინე მხეიძეების თავდადების შესახებ, რომელთა ნეშტებს სწორედ მოწამეთა ინახავს.

მცირე შესვენების შემდეგ ტურისტებმა გეზი გელათისკენ აიღეს. მათ ინტერესით დაათვალიერეს შოთას ეპოქის შესანიშნავი კულტურული ძეგლი, XII საუკუნის აკადემია, ნანგრევები და ცნობილი რკინის ჭიშკარი.

ლაშქრობის მონაწილეებმა გამართეს სპორტული თამაშობები, რაშიც ახლო-მახლო რაიონებიდან ჩამოსულმა ექსკურსანტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

**შ. ნიჟარაძე.**
(ჩვენი კორ.).
ქუთაისი.

# თქვენთვის, მომავალო ოსტატებო!

ნორჩი მსროლელები დიდი ხანია ოცნებობდნენ შემუშუშავებულ სათანრიგო მოთხოვნებზე. სსრ კავშირის დოსაafის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურომ ახლახან დაამტკიცა „ნორჩი მსროლელისა“ და „ზუსტი მსროლელის“ ნორმატივების დებულება.

ნორმებს „ნორჩი მსროლელის“ სამკერდე ნიშანზე აბარებენ 14-16 წლის ჭაბუკები და გოგონები. ვარჯიში სრულდება სამამულო წარმოების პნევმატური შაშხანით, 5 მეტრიდან. სამიზნე სპორტულია და 29 მმ დიამეტრის შავი წრე აქვს. „ათიანის“ დიამეტრი 2 მმ-ია, ზონებს შორის მანძილი — 4,5 მმ. ვარჯიში სრულდება წოლელა მდგომარეობიდან, როცა საყრდენის მოვალეობას ხელი ასრულებს. სპორტსმენებს ეძლევათ 3 საცდელი და 5 ჩასათვლელი გასროლის უფლება. დრო განუსაზღვრელია. მსროლელმა 40 ქულა მაინც უნდა მოაგროვოს.

16 წლისა და უფროსი ასაკის ახალგაზრდები ასპარეზობენ მცირეკალიბრიანი სპორტული შაშხანით. მანძილი ამორჩევითია: 25 ან 50 მეტრი. სამიზნე, შესაბამისად, № 6 და №7. № 6 სამიზნის შავი წრის დიამეტრი 60 მმ-ია, ზონებს შორის მანძილი — 5 მმ, № 7 სამიზნის დიამეტრი კი 112,4 მმ-ს შეადგენს. დრო განუსაზღვრელია. მონაწილეთ აქაც 3 საცდელი და 5 ჩასათვლელი გასროლის უფლება ეძლევათ. ვარჯიში სრულდება წოლელა მდგომარეობიდან. საყრდენად ისევ ხელია გამოყენებული, შეიძლება თოფის თამასითაც ვისარგებლოთ.

„ზუსტი მსროლელის“ სამკერდე ნიშნის მისაღებად სპორტსმენმა უნდა მოაგროვოს: 25 მეტრიდან სროლაში — 42 ქულა მაინც, 50 მეტრიდან კი 38 ქულა და მეტი. ახალი ნორმატივების დებულება ძალაში შევა მომავალი წლის 1 იანვრიდან.

შესაბამისი ნორმატივების ჩასაბარებლად შეჯიბრებებში დაიშვებიან ის ჭაბუკები და გოგონები, რომლებმაც წინასწარი მომზადება გაიარეს, გაეცნენ იარაღის თვისებებსა და სროლის ძირითად თავისებურებებს.

ამ მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექსასწავლებლების, პიონერთა სახლების, სპეციალური სასწავლო დაწესებულებების დოსააფის პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე, საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების დოსააფის ის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც სასწავლო დაწესებულებებს შეფობენ, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების გამგეობების დახმარებით აწყობენ მეცადინეობებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა უნდა დავუკისროთ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებსა და მწვრთნელებს, თანრიგოსნებს, სპორტის ოსტატობის კანდიდატებსა და ოსტატებს, რომელთაც წინასწარი სემინარები ჩაუტარდათ და დაეუფლნენ სროლის ტექნიკის სწავლების მეთოდიკას.

ნორმები შესრულებულად ჩაითვლება საკლასიფიკაციო, რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით. შეჯიბრებებს აწყობენ დოსააფის სასროლო სპორტული კლუბები, სპორტულ-ტექნიკური კლუბები და კომიტეტები.

ის ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც სათანადო ნორმებს შეასრულებენ, დაჯილდოვდებიან სამკერდე ნიშნებით და მიეცემათ ნორმატივების შესრულების დამადასტურებელი მოწმობა.

ს. კლიმენკო,
საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი.



## სამგზის რეკორდსმენი

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და დოსააფის ორგანიზაციების საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში. დოსააფის ორგანიზაციებს შორის საქართველოს სპორტსმენები IV იყვნენ, ხოლო ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოების ასპარეზობაში „განთიადის“ კოლექტივმა VI ადგილი დაიკავა. ქალთა ტურნირში კარგად გამოვიდა თბილისელი ც. სარჯველაძე. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში მან დაამყარა დოსააფის რესპუბლიკური საბჭოს რეკორდი და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, ხოლო მერე გუნდთან ერთად სტანდარტზე და ჩოქელა სროლაში გააუმჯობესა დოსააფის რეკორდები.

სურათზე: ც. სარჯველაძე ცეცხლის ხაზზე.
ფოტო ო. გელაშვილისა.

## გუშინ...

### 64:53

**თბილისში** გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და გდრ-ის ნაკრები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 64:53.

## თეთრი ხალათი და სპორტული ფორმა

თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დერეფნებში ადრე დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება მოსწავლეთა ჟრიამული. სკოლის შენობა საღამოობით IV სამედიცინო სასწავლებლის განკარგულებაშია. ამ საათებში თურმე შეუძლებელი ყოფილა „მედდების სამფლობელოში“ შეღწევა. დარაჯის პრინციპულობისგან ისევ სასწავლებლის დირექტორმა გ. გვენეტაძემ გვიხსნა.

დირექტორი ფიზკულტურის დარბაზში შეგვიძღვა, სადაც ამჯერად მესამეკურსელები ფუსფუსებდნენ. მომავალ მედდებს შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ტურისტული ლაშქრობის მოწყობა განუზრახავთ. ლაშქრობის თაოსნები და ორგანიზატორები მესამეკურსელები ყოფილან და ახლა დიდ სამზადისში იყვნენ.

აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორიები მეოთხე სართულზეა განლაგებული. დერეფანში ჩვენი ყურადღება სპორტულმა სტენდმა და მედიცინის მომავალ მუშაკთა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ამსახველმა კედლის გაზეთმა მიიპყრო.

სასწავლებლის 240 მოსწავლიდან 142 ფიზკულტურელია, 96 სპორტულ სექციებში მეცადინეობს. ხელჩანთებში თეთრ ხალათთან ერთად მუდამ უდევთ სპორტული ფორმაც — აქაური სპორტსმენები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სასწავლებლების I რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონები არიან. მათი უმეტესობა კიროვის რაიონის ნაკრები გუნდის წევრია და უკვე რამდენიმე წელია სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს მედიცინის მუშაკთა პირველობებში.

სასწავლებელში ხშირად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში... ყველა ჯგუფსა და კურსს სურს მოიპოვოს გარდამავალი თასი, რომელსაც ამჟამად მესამეკურსელები დაპატრონებიან. ფიზკულტურის უფროსმა მასწავლებელმა ი. ნატროშვილმა საუკეთესო სპორტსმენთა შორის დ. ბენდელიანი, ი. ფარდიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ი. აბაშიძე, რ. ქათიანი და სხვები დაასახელა. მათგან ბევრი სწავლაშიც წარჩინებულია. ჩვენთან წესადაა, ყველა კარგი მოსწავლე კარგი სპორტსმენიცაა და პირიქით, — გვითხრა ი. ნატროშვილმა. მოწინავე სპორტსმენები ახალბედებსაც ეხმარებიან, სექციებს ხელმძღვანელობენ.

აქ ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები. ამ ღონისძიებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია ისტორიის მასწავლებელი ვ. ანდრაზაშვილი და III კურსი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

ერთი კი უნდა ითქვას, — მომავალ მედდებს არც სპორტული ბაზები აქვთ საკმარისი, არც ინვენტარი. ეს დაბრკოლება რომ არა, სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა, ალბათ, კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა.

გ. თენგოშვილი.

◆ ბათუმი

დოსააფის საზღვაო კლუბის საწყლოსნო სადგურში დამთავრდა ქალაქის დოსააფის პირველობა ნიჩბოსნობაში. ასპარეზობაში I ადგილი მოიპოვა ელექტრომექანიკური ქარხნის გუნდმა, რომელმაც 1.500 მეტრზე აჩვენა 6.38,0. II ადგილზეა № 1 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდი, ხოლო III — სავაჭრო ნავსადგურის კოლექტივი. გემსაშენი და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების, თევზკომბინატისა და ზოგიერთი სხვა კოლექტივი, რომლებსაც საკმაოდ ძლიერი გუნდები ჰყავთ, შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ო. მურვანიძე.

## სპარტაკიადის პროგრამით

ამ დღეებში ჩხოროწყუში ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ძალოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში.

ძალოსანთა გუნდის გამოყვანა რაიონის ვერც ერთმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო და ამიტომ ამ სახეობაში მხოლოდ პირადი პირველობა ჩატარდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს: ნ. სიჭინავამ, დ. სიჭინავამ (ორივე — ლესიჭინე), ზ. საჯაიამ, ნ. ბარამიამ (ორივე — ახუთი), ვ. ბერულავამ (ჭოლა).

დამთავრდა ფრენბურთელთა შეჯიბრებაც, რომელშიც 10 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ხაბუმის, II — მუხურის, III — ლესიჭინეს გუნდმა.

კალათბურთელთა ასპარეზობაში 7 გუნდი იბრძოდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩხოროწყუსა და ლესიჭინეს წარმომადგენლები. გაიმარჯვეს ჩხოროწყუელებმა.

ი. ნაჭყებია.

ჩხოროწყუ.

## ქრონ...

● კიევი, 26 სექტემბერი. წყალ... გუნდური ... ქალთა და კოშკიდან ვაჟთა ხტომაში, ... სკოველი ვ. ბაკლანოვა — 230,25 ქ... ზეც მისი თანაქალაქელები თ. ფედო... ბამისად, 227,96 და 216,38 ქულა). ... მ. საფონოვი — 224,52 ქულა. მომ... არიან: ვ. ვასინი და ვ. პალაგინი (შ... გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ... ძალები, 3. „დინამო“ II.

● ალმა-ათა, 26 სექტემბერი. ...

„ლელოს“ ინტერვიუ

## სპორტსკოლა კოლმეურნეობაში

ახლახან ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ მიიღო დადგენილება ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის გახსნის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გაჩეჩილაძე რუხში ჩავიდა, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. გადარია ინახულა და ესაუბრა მას.

● **მთელს რაიონში მხოლოდ თქვენმა კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ბავშვთა სპორტსკოლის გახსნა. რამ განაპირობა ეს?**

— პირველ ყოვლისა, ესეც გამარჯვე ადამიანების გამარჯვებაა. ჩაის უხვი მოსავალი დიდძალ მოგებასა და დანაზოგს გვაძლევს, რაც ისევ კოლმეურნეთა და მათი შვილების კეთილდღეობას ხმარდება. ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის გახსნას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩვენი სოფლის მშრომელებმა.

● **როგორი იქნება სკოლის კონტინგენტი და ხარჯები?**

— სულ 10 ჯგუფი გაიხსნება: 2 — მძლეოსნობის, 2 — საგზატკეცილო ველორბოლის, 2 — ფრენბურთის, 3 — ჭიდაობისა და 1 — ფეხბურთისა. ხარჯებისათვის 10 ათასი მანეთი გვაქვს დამტკიცებული.

● **რას ითვალისწინებდით, როცა არჩევანი სპორტის ზემოხსენებულ სახეობებზე შეაჩერეთ?**

— რა თქმა უნდა, ადგილობრივ შესაძლებლობებს, ბაზებს, სპეციალისტებს. ერთი სიტყვით, ეს საკითხი რაიონის სპორტკავშირის ხელმძღვანელებთან ერთად გადავწყვიტეთ. უკვე მოვაწყეთ ღია მოედნები. მალე მზად იქნება დახურული სპორტული ბაზაც. ასე რომ, სექციების მუშაობა არც ზამთრობით შეფერხდება. სკოლის დირექცია ამ დღეებში ბინას მიიღებს. მოეწყობა მეთოდური კაბინეტი. გამოიყო სპორტული კომისია, რომელიც სკოლისთვის შეარჩევს საუკეთესო მონაცემების მქონე ბავშვებს.

● **სპეციალისტებზე რას გვეტყვით?**

— ამის თაობაზე ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ. სპორტკავშირის ხელმძღვანელებთან ერთად შევარჩიეთ სპეციალისტთა საუკეთესო კადრი. ზემოხსენებული კომისიაც სწორედ მათგან შეირჩა. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა. ოღონდ ესაა, სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენა გაჭიანურდა. კარგი იქნება, თუ რაიონის მაღაზიებს უკეთ მოამარაგებენ სპორტული საქონლით.

# ვოლგისპირა

რეპორტაჟი დუბნიდან

პატარა სპორტული დარბაზი, სამი ძალოსნური ფიცარნაგი. საღამოობით აქ დუბნელი ფიზიკოსები ვარჯიშობენ, დღისით კი მათი სტუმრები — სსრ კავშირის უძლიერესი ძალოსნები. საბჭოთა ათლეტებმა ამ რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტეს საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის საწვრთნელი ვარჯიშები ფიზიკოსების დედაქალაქში ჩაეტარებინათ და არც შემცდარან. აქ რომ მოემზადებიან, ჩვენი ძალოსნები მუდამ „ფრიადზე“ აბარებენ გამოცდას. შარშან ადგილი შეიცვალეს... და კიდეც წააგეს.

ახლა სპორტსმენები ისევ დაუბრუნდნენ ამ მშვენიერ, მყუდრო ქალაქს. მათ გაცხოველებული მზადება აქვთ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისთვის, 16 ოქტომბერს რომ იწყება გდრ-ის დედაქალაქში.

აი, ახლა ფიცარნაგზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის გმირი ლეონიდ ჟაბოტინსკია. ეს ვეება, ბრგე, ზღაპრული ჯან-ღონის კაცი ისე ვარჯიშობს, თითქოს ყოველ ილეთს ჭამნიკს უღებსო. ზაპოროჟიელი გოლიათი, რომელიც 160 კგ-ს იწონის, სპრინტერული სისწრაფით ასრულებს ზედიზედ 20 მოძრაობას. შემდეგ კი რაღაც სასწაული ხდება. მე მინახავს შემანსკის, ბრედფორდის, ანდერსონის, ვლასოვის საწვრთნელი ვარჯიში და გარწმუნებთ, არც ერთს ამ დიდებულ ათლეტთაგან ისე მსუბუქად, ისე იოლად არ აუწევია 140-კილოგრამიანი შტანგა, როგორც ამას ჟაბოტინსკი აკეთებს. მას თითქოს არც კი დაუძაბავს ძალა, არც კი ჩამჯდარა. ასეთი მძლავრი აკვრით თამამად შეიძლება 180 კილოგრამსაც შეეჭიდო.

ჟაბოტინსკის შესაძლებლობები ამოუწურავია. მისი ძალა სავსებით ჯერ კიდევ არავინ იცის, მაგრამ ერთი ნათელია — ის, რაც გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია.

გერმანელმა მანგერმა იმით გაითქვა სახელი, რომ პირველმა გადალახა 400-კილოგრამიანი ზღვარი. „შავმა აპოლონმა“ ჯ. დევისმა 450 კილოგრამი დაძლია, „ამწე“ პ. ანდერსონს მიეწერება 500 კგ-ის ერა. ი. ვლასოვმა იოლად გაბათილა ამერიკელის რეკორდი, ასწია ჯერ 550, შემდეგ 580 კგ და 600 კგ-ის დაძლევის საკითხიც წამოჭრა. ახლა სიტყვა ჟაბოტინსკის ეკუთვნის. ჩემი აზრით, იგი უკვე მზადაა ამ მწვერვალთან შესაჭიდებლად. 585 კგ მისთვის მინიმუმია.

ვლასოვი? მან ამ ჩემპიონატში მონაწილეობაზეც უარი თქვა. გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ კორესპონდენტთან საუბარში ვლასოვმა განაცხადა, რომ ფიცარნაგზე აღარ გამოვა. ზოგნი კი ირწმუნებიან, ცნობილი ძალოსანი ვარჯიშობს და გადაწყვეტილი აქვს წლეულს, დეკემბერში, სარბიელზე გამოვიდესო. დღესდღეობით კი ვლასოვის ადგილი ნაკრებში დაიკავა კრივოი როგის სამთო ინსტიტუტის სტუდენტმა, 26 წლის ს. ბატიშჩევმა. ჯერჯერობით იგი 527,5 კგ წევს და გადაწყვეტილი აქვს ეს შედეგი 550 კგ-მდე გაზარდოს.

ვლადიმერ კაპლუნოვი 13 წელია ძალოსნობას მისდევს და გამუდმებით ეძიებს სულ ახალ და ახალ გზებს გამარჯვებისაკენ. მსუბუქი წონის ცნობილი ძალოსანი ახლა ქვესაშუალო წონით კატეგორიაში გადავიდა და მეტოქეობა უნდა გაუწიოს თავისსავე ყოფილ მოწაფეს ვიქტორ კურენცოვს. სხვათა შორის, მოწაფე და მასწავლებელი ქვისლები არიან. უფროსი დალიდა, რა თქმა უნდა, მეუღლის, ვლადიმერის გულშემატკივარი იქნება, უმცროსი — თამარი კი ვიქტორისა. ორივე ათლეტს თანაბარი შესაძლებლობები აქვს. ყველაფერს გადაწყვეტს სპორტული იღბალი. კიდევ კარგი, ვ. ბელიაევი საშუალო წონით კატეგორი-

## ...ამბები

...ომელთა საკავშირო პირად-
...ჩემპიონები ტრამპლინიდან
...შორის ჩემპიონი გახდა მო-
...მდევნო საპრიზო ადგილებ-
...ე. ანოხინა გავიდნენ (შესა-
...ჩემპიონი გახდა მოსკოველი
...ადგილებზეც მოსკოველები
...დ, 219,95 და 177,29 ქულა).
...რტაკი“ I, 2. შეიარაღებული
...რის ჩოგბურთელთა პირად-გუნ-

დურ პირველობაზე დღეს „გადადებული პარტიების“ დამთავრების დღე იყო. როგორც ცნობილია, შეიარაღებული ძალების გუნდისა და „ტრუდის“ შეხვედრა შეწყდა, როცა ანგარიში იყო 9:9. არმიელმა სპორტსმენებმა კიდევ 3 ქულა აიღეს და შეხვედრა მოიგეს — 12:10. ამრიგად, ნახევარფინალურ ტურნირებში ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ — „შრომითი რეზერვები“ და შეიარაღებული ძალები — „ბურევესტნიკი“. წინა დღეების შეხვედრებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდა თბილისელი ჩოგბურთელის თ. კაკულიას („ბურევესტნიკი“) გამარჯვება ი. პარმასთან („დინამო“).

● **მოსკოვი, 26 სექტემბერი.** გაიმართა სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატის III ტური. არც ერთი შეხვედრა არ დამთავრებულა. ჯერჯერობით ანგარიში ასეთია: „დაუგავა“ — „ვოლნაკი“ — 4,5:2,5 (5 პარტია გადაიდო), „სპარტაკი“ — შეიარაღებული ძალები — 5:2 (5), „ლოკომოტივი“ — „მეხნატი“ — 7:3 (2), „ბურევესტნიკი“ — „კალევი“ — 7:1 (4), „ტრუდი“ — „მოლდოვა“ — 6,5:2,5 (3). აღსანიშნავია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ბოტვინიკის კარგი [illegible] ტურში მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა ლუტიკოვი („მოლდოვა“).

● **ლ ვ ო ვ ი, 26 სექტემბერი.** ბათუმის მსგავსად, აქ გრძელდება „ა“ კლასის უძლიერეს წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ლვოვის ჯგუფის მორიგი ტურის მატჩები დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, რაზეც ანგარიშებიც მეტყველებს. ორი შეხვედრა ფრედ დამთავრდა: „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი) 2:2, „დინამო“ (ლვოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 5:5. გამონაკლისი იყო მოსკოვის დინამოელთა შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკთან“. მოსკოველებმა გაიმარჯვეს — 8:2.

## ახალი ამბები



საზეიმო დღეებია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები გვესტუმრნენ, რათა ჩვენთან ერთად იზეიმონ გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ამ თარიღს ეხმაურებიან სპორტსმენებიც. ამას წინათ თბილისის იპოდრომზე გათამაშდა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის პრიზი, რომელიც მ. შავუევმა მოიგო.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. შავუევი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# ვაჟებში ლიდერობს... გოგონა

მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობს თბილისის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეოთხედფინალები. 4 ტურის შემდეგ აქ ასეთი მდგომარეობაა:

**I ჯგუფში** შესანიშნავად თამაშობს ვეტერანი ო. თურქესტანიშვილი. მას 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 3 ქულა მოაგროვა ა. სირაძემ.

**II ჯგუფში** დაწინაურდნენ ნ. ჩახოიანი და ე. კარკმაზოვი (4-4). ბ. მიქაბერიძეს 3,5 ქულა აქვს.

**III ჯგუფის** ლიდერმა პ. შაქარიანმა ოთხივე პარტია მოიგო.

**IV ჯგუფს** „ტრიუმვირატი“ — ლ. ბრეგაძე, ი. გალუსტოვი, დ. ექვთიმიშვილი (3-3) ლიდერობენ.

**V ჯგუფში** დაწინაურდნენ რ. კაპანაძე და რ. პახლევანიანი (3,5-3,5).

VI, VII და IX მეოთხედფინალებში მხოლოდ 3-3 ტურია გათამაშებული.

**VI ჯგუფში** წინ არიან გოგონა მ. სანაძე და ვ. კაბაჯიანი (2-2).

**VII ჯგუფში** ლიდერობს გ. ზოზიაშვილი (2,5).

**VIII ჯგუფში** მხოლოდ 2 ტური შედგა.

**IX ჯგუფში** დაწინაურდნენ თ. ლოლომაძე და რ. დუნდუა (1,5-1,5).

აღსანიშნავია, რომ მ. სანაძის გარდა, მეოთხედფინალებში კიდევ 3 გოგონა მონაწილეობს: ც. კობაიძე (III), ნ. ხუბულური (V) და ლ. იჩქიტიძე (VII). ც. კობაიძემ ოთხივე პარტია ყაიმით დაასრულა, ნ. ხუბულურმაც 2 ქულა მოაგროვა, ხოლო ლ. იჩქიტიძემ — 1 ქულა 3-დან.

ბრძოლა გრძელდება.

# კიდევ ერთი პარტია

## ა. დადიანის საჭადრაკო არქივიდან

1867 წელს, პარიზის საიმპერატორო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში I ადგილი დაიკავა უნგრელმა დიდოსტატმა იგნატი კოლიშმა (1837-1889 წ. წ.). ამ გამარჯვებისთვის მას გადაეცა საიმპერატორო პრიზი — 5 ათასი ფრანკის ღირებულების ფაიფურის ლარნაკი და 500 ფრანკი ფულად. ეს იყო ი. კოლიშის ოსტატობის საქვეყნო აღიარება.

სხვათა შორის, ი. კოლიში საჭადრაკო სარბიელზე მხოლოდ 60-ან წლებში გამოჩნდა. თავის სიძლიერეში იგი ღრმად იყო დარწმუნებული და აი, 1861 წელს მან მატჩშიც კი გამოიწვია პაულ მორფი, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ კოლიშმა შეხვედრა სთხოვა იმდროინდელი მსოფლიოს მეორე მოჭადრაკეს ა. ანდერსენს. გერმანელი პროფესორი ეთამაშა უნგრელს და მატჩი მოიგო საკმაოდ მოკრძალებული შედეგით — 5:4. ამ დღიდან ყველამ ირწმუნა ი. კოლიშის ძალა.

პარიზში გამარჯვებით გახარებულმა უნგრელმა მოჭადრაკემ გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო გერმანიისა და ვენის გავლით, სადაც, საჭადრაკო გასტროლების პარალელურად, პირადი საქმეების მოგვარებასაც აპირებდა (კოლიში ვაჭარი იყო).

1867 წლის აგვისტოში იგი ჩავიდა ჰამბურგს, სადაც შეხვდა პარიზში გაცნობილ ქართველ ჭაბუკს ანდრია დადიანს (1850-1910 წ. წ.). დადიანი დიდად ეტრფოდა ჭადრაკს. მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ოსტატმა ჰ. ბერნსმა ანდრიას ნიჭიერება მოუწონა და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველა, ჭაბუკი მოჭადრაკე გატაცებით მონაწილეობდა მოყვარულთა ტურნირებში და ახლა როგორ შეეძლო არ ესარგებლა გამოჩენილი დიდოსტატის სტუმრობით ჰამბურგს, სადაც იმ ხანად ცხოვრობდა დადიანების ოჯახი.

ი. კოლიშს შეხვედრაზე უარი არ უთქვამს. ჯერჯერობით არ ვიცით, რამდენი პარტია ითამაშეს. ინგლისურმა საჭადრაკო ჟურნალმა „ჩეს მოთლიმ“ 1892 წლის სექტემბრის ნომერში, რომელიც მთლიანად ა. დადიანის შემოქმედებას მიეძღვნა, 2 პარტია გამოაქვეყნა (სხვათა შორის, ამ ათიოდე წლის წინათ ორივე პარტია დაისტამბა „ლელოს“ ფურცლებზე).

ამ მატჩის სხვა პარტიებს არსად შევხვედრივარ. ალბათ იმიტომ, რომ ქართველ მოჭადრაკეს, როგორც ჩანს, მხოლოდ მისი მოგებული პარტიების ჩანაწერები შეუნახავს.

ზუგდიდში ა. დადიანის ხელნაწერებს რომ ვეცნობოდი, წავაწყდი ამ მატჩის კიდევ ერთი პარტიის ჩანაწერს. დადიანს არ აღუნიშნავს როდის გათამაშდა პარტია, მაგრამ თამაშის ადგილი (ჰამბურგი) მითითებულია.

აი, ეს პარტიაც, რომელიც პირველად ქვეყნდება.

### ა. დადიანი — ი. კოლიში

მუციოს გამბიტი

**1. e4 e5 2. f4 ef 3. მf3 g5 4. კc4 g4 5. მc3.**

იმ დროს ეს გამბიტური გაგრძელება დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაშინ ყველა იერიშით თამაშობდა და ფიგურის შეწირვა ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მის სანაცვლოდ თეთრები შესამჩნევად ასწრებენ შავებს ძალთა მობილიზებაში.

**5. ... gf 6. ლ:f3 კh6 7. d4 მc6 8. 0—0 მ:d4 9. კ:f7+ მფ:f7 10. ლh5+ მფg7 11. კ:f4.**

თეთრები არ ერიდებიან მეორე ფიგურის შეწირვას, ვინაიდან „გაშიშვლებული“ მეფე თავდასხმის შესანიშნავი ობიექტია. შავი მეფე უკვე განსაცდელშია. მას დაცვა სჭირდება, ამიტომ ი. კოლიში ვერ ასწრებს ლაზიერის ფრთის ფიგურების განვითარებას.

სხვათა შორის, ჩვენს დროში არავინ დახარბდებოდა, თუნდაც, d4 პაიკას აყვანას. დაცვით ტექნიკას დღეს თითქმის ყველა თანრიგოსანი მოჭადრაკეა დაუფლებული.

**11. ... კ:f4 12. ე:f4 მh6.**



შავები თანახმა არიან უკან დააბრუნონ ერთი მხედარი, რათა შეიმსუბუქონ დაცვა, მაგრამ ა. დადიანი განაგრძობს იერიშს:

**13. ლe5+ მფg8 14. ეf6** (შამათის მუქარით) **14. ... მe6** (14. ... მf7 მოჰყვებოდა 15. ე:f7 მფ:f7 16. ეf1+ საშამათო იერიშით) **15. მd5** (მხოლოდ შამათი — ასეთია თეთრების დევიზი. ამიტომ ისინი უარს ამბობენ h6 მხედარზე) **15. ... c6 16. ლg3+ მg7 17. ეaf1 cd** (უკეთესი არაფერი ჩანს) **18. ლd6 მe6 19. ე:e6 მf7** (საჭირო იყო 19. ... ლb6+) **20. ეg6+ hg 21. ლ:g6+ მფf8 22. ლ:f7×.**

მიმზიდველი პარტიაა, რომელსაც ა. ანდერსენისა და პ. მორფის სტილის გავლენა ატყვია.

**თ. გიორგაძე.**

„ლელოს“ პუბლიკაცია

# მოლოდინი არ გამართლდა

● თ. კაკულიამ დაამარცხა ი. პარმასი.

● ვერ გამოიყენეს 2 ოთხმეტრიანი საჯარიმო

● რევანშის წყურვილით

**ბათუმი,** 27 სექტემბერი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის I ტურის მესამე კალენდარული დღის ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა ძველი მეტოქეების — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდისა (ცესკ ვმფ) და თბილისის დინამოელთა შეხვედრა. პირველი წრის შემდეგ მეზღვაურები 20 ქულით გათამაშების ლიდერები იყვნენ, თბილისის გუნდს კი 11 მატჩიდან მხოლოდ 12 ქულა ჰქონდა და სატურნირო ცხრილში V ადგილზე იმყოფებოდა.

მეორე წრე დინამოელებმა წარმატებით დაიწყეს და ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს, მათ შორის, მოსკოვის უნივერსიტეტის ძლიერ კოლექტივთან (5:4). ამიტომ, ცხადია, თბილისელთა მესამე კალენდარულმა შეხვედრამ მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი. სამწუხაროდ, გულშემატკივართა იმედები ვერ გამართლდა. „დინამომ“ სუსტად ითამაშა და დამარცხდა — 3:6. აღსანიშნავია, რომ თბილისელმა წყალბურთელებმა ვერ გამოიყენეს 2 ოთხმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მეზღვაურთა კარში სამივე ბურთი „დინამოს“ წყალბურთელთა რიცხობრივი უპირატესობის დროს გავიდა.

მეტად დაძაბული გამოდგა წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (კკფ) გუნდისა და მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ ორთაბრძოლა. ბაქოელებმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვეს — 4:3.

თბილისის „დინამოსთან“ დამარცხების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა ალმაცლობით ითამაშა მოსკოვის ოლქის „ტრუდთან“ და დაამარცხა მეტოქე — 3:1, მაგრამ ანგარიში ზუსტად როდი ასახავს ძალთა შეფარდებას. უნივერსიტეტის წყალბურთელებს ხელთ ეპყრათ ინიციატივა ოთხივე პერიოდში და თავდამსხმელებს კარში ტყორცნისას მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში გაცილებით მეტი იქნებოდა.

დღეს გაიმართა მორიგი მატჩები. უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელთა შეხვედრა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან. ეს საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3.

ასეთივე ანგარიშით დასრულდა მოსკოვის ოლქის „ტრუდისა“ და მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ მატჩი.

თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს ბაქოელები — 4:2.

## წყალბურთი

# ქალაქში

აში იასპარეზებს. თუმცა, ეს კარგია ქვესაშუალო წონის ათლეტებისათვის, ევროპის ჩემპიონს ა. კიდიაევს კი საფიქრალი მოემატა. ბელიაევი, სათნო ღიმილი რომ იცის და ღაწვებზე ვარდისფერი დასდებია, შტანგის ვირტუოზია. იგი ფლობს უზადო ტექნიკას, შეუძლია დიდი ღირსებით დააღწიოს თავი ყოველგვარ რთულ მდგომარეობას. წლეულს მან მოიგო რიგის საერთაშორისო ტურნირი და „ბალტიკის თასზე“ შეჯიბრება. ბელიაევმა დამარცხების სიმწარე აწვნია მსოფლიო ჩემპიონს ნ. ოზიმეკსაც კი და ახლა იმედოვნებს, რომ ბერლინის საგზურს მოიპოვებს.

ძალოსანთა სპორტულ გმირობას მაშინ დააფასებ, როცა მათ წვრთნას ნახავ. ორიოდე საათის განმავლობაში მათ 10-15 ტონის აწევა უხდებათ და თავად 2-2 კგ-ს მაინც იკლებენ წონაში.

— რას გაწუწულხარ? — ეკითხება ბელიაევს მსუბუქი წონის ძალოსანი ვ. კაცურა.

— ვოლგაში ვიბანავე, — იცინის პასუხად ვლადიმერი და სახეს იწმენდს, თმებიც კი ერთიანად სველი აქვს. — რას იზამ, წვრთნა ძნელი საქმეა, იქნებ ბრძოლა უფრო იოლი გამოდგეს?

— არა მგონია. ეგ კი არა, შინაურებთანაც ვერ მოგისვენია კაცს. გემას ვერ დააღწევ თავს, — პასუხობს ოლიმპიური ჩემპიონი ა. ვახონინი და მიუთითებს 23 წლის პერმელ ძალოსან გენადი ჩეტინზე, რომელმაც წლეულს, მარტში, ორი ცნობილი ათლეტი—უნგრელი ი. ფიოლდი და ვახონინი დაამარცხა. მართალია, შემდეგ, სსრ კავშირის ჩემპიონატში ვახონინმა აიღო რევანში, მაგრამ ეს გამარჯვება მისი ნაკლები წონის წყალობა იყო. ჩეტინმა არც ერთი კილოგრამი არ დათმო. იგი ახლაც არ ჩამოუვარდება ვახონინს. რომელს ამჯობინებენ მწვრთნელები?

მეტოქე არ ჰყავს მხოლოდ ქვესაშუალო წონის ძალოსანს ე. სოლოვიოვს. მაგრამ 27 წლის მოსკოველი ათლეტი მაინც ეჭვით ამბობს:

— ვერა ვარ ფორმაში. ბიჭები, ალბათ, უჩემოდ წავლენ ბერლინს.

მ. კაცურას კი თავი უკვე ბერლინის ფიცარნაგზე ჰგონია. აგვისტოში მან 435 კგ ასწია და 2,5 კგ-ით გაზარდა ვ. ბაჟანოვსკის ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები. სხვათა შორის, კაცურამ ამ გაზაფხულს რიგაში მოუგო ბაჟანოვსკისა და მის თანამემამულე მ. ზელინსკის.

— რამდენი კგ უნდა დაძლიოს მსუბუქი წონის ძალოსანმა, რომ ბერლინში ოქროს მედალი მოიპოვოს? — ვკითხე ევგენის.

— 427,5—430! ეს საკმარისია. მეხიკოსათვის კი 445 კგ-ია საჭირო. როგორც ჩანს, ჩვენი ათლეტები ბერლინის ჩემპიონატისათვის სამზადისის დროს არც მომავალ ოლიმპიადას ივიწყებენ. მეხიკოზე ფიქრობენ ნაკრების მწვრთნელებიც, მაგრამ ლაპარაკით მხოლოდ უახლოეს ტურნირზე ლაპარაკობენ:

— გუნდური გამარჯვება აუცილებელია ჩვენთვის. სოფიისა და თეირანის მარცხისათვის რევანში უნდა ავიღოთ.

ეს გუნდის უფროსი მწვრთნელის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ა. ვორობიოვის სიტყვებია. მას ბევრი ქება ხვდა ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ, სადაც ჩვენი ძალოსნები ბრწყინვალედ გამოვიდნენ. მაგრამ თეირანში წაგებამ ძალზე შეარყია ვორობიოვის, როგორც მწვრთნელის, რეპუტაცია და ახლა წარსულში ცნობილი სპორტსმენი დაუცხრომლად ეძიებს გამარჯვების გზებს.

— ჩემპიონატისათვის ჩვენი ქვეყნის 15 საუკეთესო ათლეტი ემზადება, — თქვა ა. ვორობიოვმა. — არც ერთი სხვა ქვეყანას არ ჰყავს ამდენი პირველი კლასის ძალოსანი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჯგუფში მხოლოდ 7 სპორტსმენი შეიძლება იყოს. ჩვენი 8 საუკეთესო ათლეტი ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს და ეს, რა თქმა უნდა, მეტოქე გუნდების ძალებს ათანაბრებს. ჩვენ არა გვაქვს იოლი გამარჯვების იმედი.

— ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, — მშვიდად შენიშნავს მწვრთნელი გ. ბალაშოვი, რომელიც კინოგადამღებს არ სცილდება, — ბიჭები ფორმაში არიან და ყოველ მათგანს შეუძლია წარმატებით იბრძოლოს პირველობისთვის.

**დ. ივანოვი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## სსრ კავშირის პირველობა

# წვიმასა და ქარში

ესტონეთის დედაქალაქ ტალინიდან დაბრუნდნენ სსრ კავშირის მშვილდოსანთა III ჩემპიონატის მონაწილენი. აას-ის კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის სასროლო სპორტის ფედერაციის მთავარ მწვრთნელს ლ. მაკაროვს მოეთხრო ჩემპიონატის შედეგებზე და საბჭოთა კავშირში მშვილდოსნობის განვითარების პერსპექტივებზე.

ტალინში უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, საქართველოს, მოსკოვისა და ლენინგრადის 7 გუნდი ასპარეზობდა. რსფსრ-ს სპორტსმენები მხოლოდ პირად ჩათვლაში გამოვიდნენ. ტალინი მსროლელებს ბალტიისპირეთისთვის დამახასიათებელი ამინდით შეხვდა: საკმაოდ ციოდა, ან წვიმდა, ან ძლიერი ქარი ქროდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გამარჯვებულთა შედეგები უფრო დაბალია, ვიდრე ველოდით. და, მაინც, ჩემპიონატმა გაგვახარა ბრძოლის სიმწვავით. საკმარისია ითქვას, რომ პირად ასპარეზობაში გათამაშებული ოქროს 10 მედალი 9 სპორტსმენმა გაიყო, ადრე კი ერთეულები „მატონობდნენ" ხოლმე. მაგალითად, ლვოველმა ვ. სიდორუკმა შარშან 5 უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. მე მჯერა, რომ ბრძოლის გამწვავებას ახალ-ახალი რეკორდები და მაღალი საერთაშორისო შედეგები მოჰყვება.

როგორც წინა ჩემპიონატში, ახლაც უძლიერესნი უკრაინელი მსროლელები აღმოჩნდნენ, თუმცა მათ შორის ადგილების განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ვაჟებში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა უკრაინელმა ი. ტიმირგაზინმა, რომელმაც 4 ვარჯიშის ჯამში (90, 70, 50 და 30 მეტრიდან სროლა) 1898 ქულა მოაგროვა. ყველაზე გრძელ დისტანციებზე — 90 და 70 მეტრიდან სროლაში ყველას აჯობეს მოსკოველებმა ს. ლობკოვმა და ვ. მუვალოვმა, რომლებმაც შესაბამისად 366 და 440 ქულა მოაგროვეს. 50 და 30 მეტრიდან სროლაში ისევ უკრაინის წარმომადგენლებმა — ს. კრასნოვმა (528 ქულა) და გ. სმალმა (625) გაიმარჯვეს.

შარშანდელი ჩემპიონატის უძლიერესმა მსროლელმა ვ. სიდორუკმა ვერც ერთი უმაღლესი ჯილდო ვერ დაისაკუთრა და 4 დისტანციის ჯამში II საპრიზო ადგილს დასჯერდა.

წარუმატებლად გამოვიდა შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი ნონა კოზინაც. გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ამჯერად მისი ადგილი ესტონელმა ა. ვერნიკმა (1853 ქულა) დაიკავა. იგი პირველი იყო 50 მეტრიდან სროლაშიც — 468 ქულა. ოქროს მედლები მოიპოვეს: უკრაინელმა ს. მიშაილიუკოვამ (70 მ — 429 ქულა), ახალგაზრდა მსროლელებმა, ნოვაიაკახოვკელმა ტ. ლიტეროვამ (60 მ — 472 ქულა) და უკრაინელმა ნ. დონსკაიამ (30 მ — 585 ქულა). ლიტეროვამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

სსრ კავშირის წლევანდელი პირველობა იყო ძალთა ერთგვარი შემოწმება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც გაისად გაიმართება. სსრ კავშირის მშვილდოსნებს პირველად აქვთ განზრახული ამ ჩემპიონატში მონაწილეობა. აი, რატომ არის, რომ უძლიერესი სპორტსმენების წარუმატებლობით გამოწვეულ მღელვარებას ახლავს სიხარულიც მოწინავეთა შორის ახალი სახელების გამოჩენის გამო. მათმა ოსტატობამ მომავალში იქნებ მსოფლიო აღიარება მოუტანოს სსრ კავშირის მშვილდოსნებს.

იმედია, სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო განვითარდება უახლოეს მომავალში. 1972 წლიდან მშვილდოსნობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევა.

• • •

საქართველოს მშვილდოსნები ტურნირში ბოლო ადგილზე გავიდნენ.

**მშვილდოსნობა**

## ფეხბურთი

# საუბარი „ვარსკვლავებთან"

„ლელოს" ინტერვიუ

ჩვენი კორესპონდენტი დ. ლოლაძე ჩეხოსლოვაკიაში ყოფნისას შეხვდა ცნობილ ფეხბურთელებს იოზეფ მასოპუსტს და ივან მრაზს. საუბარი გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის შემდეგ.

● ბ-ნო იოზეფ, რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?

— კიდევ ერთ-ორ წელიწადს.

● რატომ თქვით უარი ეროვნულ ნაკრებში თამაშზე?

— ნაკრებისთვის თავი მოხუცად მიმაჩნია.

● ბოლო ხანებში ჩეხოსლოვაკიის ნაკრები უხეიროდ გამოდის. ხომ არ დაუბრუნდება გუნდს ცნობილი მწვრთნელი რუდოლფ ვიტლაჩილი?

— არა მგონია. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ეს მდგომარეობას ვერ შეცვლის, ვინაიდან ჩვენი გუნდი გაცილებით რთულ მკურნალობას საჭიროებს.

● რომელი ნაკრების გულშემატკივარი იყავით ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში?

— პორტუგალიის.

● ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად?

— ეუსებიო.

● რა აზრის ხართ 4+3+3 სისტემაზე?

— მომწონს, მაგრამ მხოლოდ ინგლისელთა შესრულებით.

● გახდებოდა თუ არა ინგლისი ჩემპიონი, პირველობა სხვა ქვეყანაში რომ ჩატარებულიყო?

— არავითარ შემთხვევაში.

● ბ-ნო ივან, გთხოვთ გაზეთ „ლელოს" მკითხველთათვის რამდენიმე შეკითხვაზე გვიპასუხოთ.

— სიამოვნებით, მაგრამ მასოპუსტის შემდეგ ეს იოლი როდი იქნება.

● სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ რომელ გუნდში აპირებთ თამაშს?

— ალბათ მშობლიურ „სპარტას" დავუბრუნდები.

● გახდება თუ არა თქვენი ახალი კლუბი — „დუკლა" ჩემპიონი?

— არა მგონია. ჩემპიონი ალბათ პრაღის „სპარტა" იქნება.

● რას იტყვით თქვენს კოლეგა მასოპუსტზე?

— იმას, რაც ყველასთვის ცნობილია: იოზეფი შესანიშნავი ფეხბურთელი და მეგობარია.

● მსოფლიოს რომელი საკლუბო გუნდი მიგაჩნიათ უძლიერესად?

— მილანის „ინტერნაციონალე", როცა, რა თქმა უნდა, ფორმაშია. მისი დამარცხება საერთოდ ძნელი საქმეა.

● ვინ იქნება წლეულს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი?

— ინგლისელი მური, ან პორტუგალიელი ეუსებიო.

● რას ფიქრობთ მსოფლიოს ახალ ჩემპიონზე — ინგლისის ნაკრებზე, რომლის შესახებ ამდენი საპირისპირო აზრი არსებობს?

— ინგლისის ნაკრები უაღრესად დისციპლინიანი და მონოლითური კოლექტივია. მაგრამ, ვფიქრობ, ჩემპიონობას გფრ-ის გუნდი მოიპოვებდა, თამაშები ინგლისის სტადიონებზე რომ არ ჩატარებულიყო.

● რომელი საბჭოთა ფეხბურთელი მოგწონთ?

— სტრელცოვი, საბო და ვორონინი.

● იცნობთ თუ არა ქართველ ფეხბურთელებს?

— მახსოვს ლოლობერიძის ბრწყინვალე თამაში.

● მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მთავარი მეტოქე პორტუგალიის გუნდი იყო და თქვენ მისი ძალა კარგად უნდა იცოდეთ. იყო თუ არა პორტუგალიის ნაკრები ჩემპიონობის ღირსი?

— პორტუგალიის ნაკრები ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩემპიონის ტიტულს ჯერჯერობით არ იმსახურებს.

● როგორ გგონიათ, შეძლებენ თუ არა სამხრეთამერიკელები მექსიკაში ევროპული ფეხბურთის დამარცხებას?

— ევროპა კვლავ გაიმარჯვებს. ვფიქრობ, ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები იქნება.

● თუ მიგაჩნიათ პელე მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად?

— რა თქმა უნდა. მსოფლიოს ჩემპიონატში უხეშობის გამო მან ვერ აჩვენა თავისი ნამდვილი უნარი. დღეს პელეს ვერავინ შეედრება.



იოზეფ მასოპუსტმა ჩვენს კორესპონდენტს გადასცა თავისი ფოტოსურათი წარწერით: „გაზეთ „ლელოს". მასოპუსტი".



▲ დრეზდენი, 26 სექტემბერი. გდრ-ის მძლეოსან ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდებმა ორდღიან ბრძოლაში ანგარიშით 218:144 სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს. ვაჟთა საუკეთესო შედეგებიდან უნდა აღინიშნოს: ი. ჰააზე (გდრ) — 10.000 მ რბენა — 28.51,8, ვ. ნორდვიგი (გდრ) — ჭოკით ხტომა — 515 სმ, ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია) — ბადროს ტყორცნა — 61,42 მ, დ. ჰარტმანი (გდრ) — 3.000 მ წინაღობებით რბენა — 8.33,8, ჰ. ი. რიუკბორნი (გდრ) — სამხტომი — 16,29 მ. ქალთა შორის თავი გამოიჩინეს მ. გუმელმა (გდრ), რომელმაც ბირთვი 17,11 მეტრზე კრა და ე. ლეხოცკამ (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც 100 მეტრი 11,5 წამში გაირბინა.

# ფავორიტები იწყებენ

ევროპული ფეხბურთის სამი უმნიშვნელოვანესი ფორუმის — ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და ბაზრობათა თასის წლევანდელი გათამაშება უკვე თვეზე მეტია მიმდინარეობს. მაგრამ აქამდე ჩატარებულ მატჩებში არ მონაწილეობდნენ ევროპის უძლიერესი კლუბები. დღეს სამივე გათამაშების ფავორიტთა უმრავლესობა იწყებს ბრძოლას.

შვეციის ქალაქ მალმეში ამ ქვეყნის წარმომადგენელი „ფკ მალმე" ღებულობს მადრიდის „ატლეტიკოს". ესპანეთის ჩემპიონატი მხოლოდ ახლა დაიწყო, ხოლო შვეციისა — დასასრულს უახლოვდება, ამიტომ მადრიდელთა ამოცანები საკმაოდ ძნელი იქნება.

ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული", რომელიც საკმაოდ უფერულად გამოიყურება თავისი ქვეყნის ჩემპიონატში, რუმინეთის ქალაქ პლოეშტში ხვდება ადგილობრივ „პეტროლულს". ბრიტანულ პრესას მიაჩნია, რომ „ლივერპული" აუცილებლად გავა გათამაშების შემდეგ წრეში. ასევე ფავორიტად მიაჩნიათ ბრიტანელებს შოტლანდიის ჩემპიონი — გლაზგოს „სელტიკი", რომელიც დღეს „ფკ ციურიხს" ეთამაშება.

ასევე საინტერესო შეხვედრები ჩატარდება დღეს თასების მფლობელთა თასისა და ბაზრობათა თასის გათამაშებაში.

ჩვენ არაფერს ვამბობთ ჩემპიონთა თასის გათამაშების დღევანდელ მატჩზე: „ინტერნაციონალე" (მილანი) — „ტორპედო" (მოსკოვი), ვინაიდან მასზე „ლელოს" წინა ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი. გეტყვით მხოლოდ, რომ **ეს მატჩი ტელევიზიით გადმოიცემა 0 საათსა და 20 წუთზე თბილისის დროით.**

## ჩემპიონი ჩემპიონობს

როცა შარშან ბუდაპეშტის „ვაშაშმა" თავისი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, უნგრული პრესა წერდა: „ჩემპიონი ძლიერია, მაგრამ მას ბევრი ქომაგი არა ჰყავს". ეს ასეცაა — უნგრელ მაყურებლებში „ფერენცვაროში" მეტი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ წლევანდელი გათამაშების 18 ტური უკან დარჩა და „ვაშაში" I ადგილის ყველაზე რეალური პრეტენდენტია. გუნდს არც ერთი წაგება არა აქვს (18 შეხვედრიდან 12 გამარჯვება და 6 ფრე). დაცვაში გამოირჩევა მესეი, ნახევარდაცვაში — მატესი, ხოლო თავდასხმაში — ფარკაში და ლ. პუშკაში.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ვაშაში" | 18 | 49:19 | 30 |
| „ფერენცვაროში" | 18 | 42:25 | 24 |
| „ჰონვედი" | 18 | 34:24 | 24 |
| „პეჩი" | 19 | 23:22 | 22 |
| „ტატაბანია" | 18 | 28:13 | 21 |

## ისევ დოპინგის წინააღმდეგ

ეროვნული და მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესება სპორტის სახეობებში თანდათან გაძნელდა, ამიტომაც დასავლეთის სპორტის მესვეურები სპორტსმენებს ხშირად აიძულებენ სხვადასხვა აღმგზნები საშუალება გამოიყენონ.

მსგავსი მოვლენები მძლეოსნობაშიც გვხვდება, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ „სპორტის დედოფლის" ეროვნულ ფედერაციებს. მათ სათანადო ღონისძიებანიც გაატარეს, მაგრამ ბრძოლა უნაყოფო გამოდგა. მაშინ საქმეში ჩაერია მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც თავის ბოლო კონგრესზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ ფედერაციის წარმომადგენლებს საერთაშორისო ტურნირების დროს უფლება აქვთ მოახდინონ ნებისმიერი ათლეტის სამედიცინო შემოწმება.

დოპინგის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სპორტსმენს სამუდამოდ ეკრძალება შეჯიბრებებში მონაწილეობა, ხოლო იმ ქვეყნის ფედერაცია, ვისაც შენიშნული მძლეოსანი ეკუთვნის, დაისჯება.

სპორტული ფელეტონი



უნებლიე რეკორდი

ნახ. ა. სკოტარენკოსი.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და თანამშრომლები იუწყებიან სპორტის ოსტატ

**ვახტანგ ალექსის ძე ნახუცრიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 29 სექტემბერს დღის 3 საათზე სოფელ ხაშმში (საგარეჯოს რაიონი).

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**კალათბურთი.** კიროვის სახ. პარკის კალათბურთის სტადიონი. **28 სექტემბერი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო (ნაკრები) — გდრ (ნაკრები).** დასაწყისი 19 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **28 სექტემბერი-2 ოქტომბერი. თბილისის პირველობის ნახევარფინალები.** დასაწყისი 18 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი).** 29 სექტემბერს — დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30-ში — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66413 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 5 უე 01792